

მუშაკთა

საბჭოთაო
საბჭოთაო





დღეს ტარტაროში სდგას და გაჰყურებს
 საბჭოთა ქვეყნის უსაზღვრო სივრცეს:
 იგი ღუმელში რკინას ახურებს
 და ჰკვართავს მისგან იარაღს მტკიცეს!

ამ იარაღით ის ხომ ღმერთს ებრძვის,
 აკი უჩვენა ერთხელ ფეთება,
 როს უცდახუთით, ოქტომბრის ერთ დღით,
 აგება შიში და აფეთქება!...

და, აბა, სცადეთ, არ დაუჯეროთ!..
 მას შედეგ მოდის ბრძოლით წინ ტევა
 სცვლის გაარჯვებას—გაპარჯვებები!
 აქ დღე დღეს უსწრებს, გზა არ ილევა,

და მეც, ვით მეზავრი, დღეთ ვეგებე ბი!..
 შეიღ ნოემბერს თუ ოქტომბერია,
 განა, სხვა დღეს ესცნობ უოქტომბრო თ?
 ეს წესი სისხლით დამიწერია

რომელი ერთი უნდა გიჩვენოთ,
 რაც მე ოქტომბრით მიღწევა მომდის?
 სოციალიზმი რომ ავიშენოთ,
 ჩვენადღეს ეს საქმე მიგვყავს ბოლომდის!.

ეს ხომ ლენინის არის ანდერძი,
 დიდი ბელადის ქვეყნის მ ანების,
 ვინც გამოსტაცა ძველს მიწას ლერძი
 და გასდო ხიდათ მილიონების!..

დაიძრა ხიდზე შრომის არმია,
 წინ გარკვეული გზაა და ხაზი:
 ყოველი უჭმე ახლა წამია,
 ყოველი დარტყმა—მტრის გულში ბრაზი!..

ჩაღვა მუხლები ინდუსტრიაში
 და წინ დაიძრა ურიცხვ მწკრივებით:
 თვალეზში ჰესთა სხივის კიაფით
 და იქით—იქეთ კოლექტივებით!..

გამოვა ვინმე და იტყვის ასე:
 „შესდექით! შესდგეს ეს გატაცება,
 ზოგად სიცოცხლის აუწით ფასებს
 დროში—კომუნის რკინის კაცებმა!“.

ჰაუ, ეს ხმები სადაურია?!.
 უცხოა იგი ამ გაქანების!
 გესმით, ქარხნებში რა ხმაურია
 და რა გრაგანი სწრაფ მანქანების?!.

საბჭოთა მაჯის სწრაფი ცემაა
 და მისი გულის უსაზღვრო ტოკვა,
 საერთოდ კი ეს—გატაცებაა
 და უჩვევი გზის უჩვევი თოკვა!

ასე დღევდება ფოლადის ნებ-
 მილიონების აზრის და ძალის,
 წინ რომ ტემპებით მიექანება
 და მიჰყავს მტკიცედ ფოლადის სტალინს!..

ნ. ზომლეთელი.



— დღეს ჩვენი დაღუბვის დღეა და შენ გიხარია!
 — შე კაი კაცო, დღეს მაინც მოგვიგონებენ, და რა-
 ტომ არ უნდა მიხაროდეს!



— „13“ კვივაბი იყო და არ მებონა თუ გა-
 დაიტანდენ კომუნისტები!

1918-19-20 წლები

ამერიკელი ინგლისელს: შეუტოოთ და ახლავე მოვსპოთ ეგ რუსი ბოლშევიკები. სიფათში ვატყობ, რომ მაგათ თუ გაიძარჯვეს, ხეირს არ დავგაყრაინ.

ორიოდე წლის შემდეგ:
ინგლისელი—ფრანგს და ამერიკელს!—დაგმარცხდით აშკარად, მაგრამ ცოტა სული მოვიდვათ, ამ გერმანიას გავაძროთ ტყავი და რუსეთის დაპყრობას მერეც მოვესწრებით. (აქ იმეძღია მკითხველი მიხედვება, რომ მოქმედება სწარმოებდა 1918, 19 და 20 წლებში, როცა ინგლის-საფრანგ-ამერიკა-გერმანია-პოლონეთის ფულიანი ხალხი (იმპერიალისტები) ცდილობდნენ ინტერვენციის საშუალებით მოესპოთ თქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი, მაგრამ ჯამი კოვში ჩაუვარდათ).

ამერიკელის განცხადებით

ბ ე ც ი

1922 წელი

ფრანგი ინგლისელს:—ახლა მიშველიე, ვეცეთ ახლა და გავანთავოთ, თორემ მერე მოღონიერდებიან და გვიან იქნება.

ინგლისელი:—შეუტიე შენ და მეც უკან მოგყვები.

ამერიკელი:—ჰო, კი, შეუტიეთ ორივემ, ჩვენ აქედან ვიყურებთ. (ვერც ერთი ვერ ბედავს შემოტევას).

ფრანგი:—ხომ გეუბნებოდით ომი აუტენოთ თქვა, ახლა წელში მომავრდენ და ისე ადვილი აღარ არის...

ინგლისელი:—სინჯე მაინც, ეცი შენ და ჩვენც ვეცემით.

ფრანგი:—არა, ჯერ შენ და მერე მე!..

ამერიკ.:—მიდით ბოშო, რის გეშინიათ, აქ არა ვართ?

პოლონელი:—(ყფეს) ამ! ამ! ამ!

ფრანგი:—ეცი მგათ მურა, ეცი მაგ ბოლშევიკებს.

რუმინელი:—ამ! ამ!

ყველა ერთად:—ეცით, ეცით, მურაიკებო...

1924 წელი


ფრანგი:—ე ბიჭო, საქართველოში აჯანყებაა, რუსეთი ინგრევა, ვეცეთ და მოვსპოთ!

ინგლისი:—მიდი, მიდი, ჩვენც მოვდივართ.

ამერიკა:—მიდით, ნუ გეშინიათ!

სხვადასხვა ფინები:—ამ! ამ! ამ! (ვერც ერთი ვერ ბედავს ომის დაწყებას).

ამერიკის განცხადებით



— რა ბარბაროსებია ეს ბოლშევიკები, ჩვენი ახმებანი დაუსხარბატიან.

1927 წელი

ინგლისი:—ხალხო, უშველეთ, საბჭოთა კავშირში გავრმავედა რევოლუციკა, ვეცეთ, თორემ ბოლოს ინაწებთ!

ფრანგი:—გეუბნებოდით გაძლიერდებიანთქვა, ახლა როგორ გინდა ომი დაიწყოს, ეს ამერიკა განზე დგას?

იტალიელი:—ვაჟო შეუტიოთ, თორემ თითონ შემოგვიტევენ!

პოლონელი:—ამ! ამ! ამ!

ამერიკა: (ჩიბუხს აბოლბებს). (ომის დაწყებას ვერც ერთი ვერ კისრულობს).

1929 წელი

— ამერიკა:—დავიღუბეთ კაცი, საბჭოები გამავრდენ, ხუთწლედის მერე წელი დაიწყებს.

ფრანგი:—ეგრე მოგისდება, რომ გვხვევებოდით მოვსპოთ თქვა, ყურს არ აპარტყუნებდით, ახლა მაგათ ვინ მოერევა?

ინგლისი:—ვეცეთ ახლა მაინც, თორემ თითონ გვეცემიან!

ფინები: ამ! ამ! ამ!

(შემოტევენ ვერავინ ბედავს)

ამერიკა:—მიშველეთ, ეკონომიური ვასაკირი მაქვს!

ინგლისი:—მომეხმარეთ, კოლონიები ხელიდან მეცლება!

ფრანგი:—ყარაულ! დავიხობეთ შიმშილით.

იტალი:—ქე მაინც ვივაჭრებ ამ ბოლშევიკებთან.

გერმა:—ხალხო! შემიქვამა ანტანტამ!

პოლონელი:—ამ! ამ!

ფინეთი:—ამ! ამ!

რუმინი:—ამ!

საერთაშ. იმპერიალიზმი: (თავში იცემს):—დემინგია, საბჭოთა დეპრინგი, მთელ ქვეყანას ღუბავენ თოლშევიკები! მა-ლი-ცი-ო-ნერ! ბოლშევიკები ხუთწლედს ასრულებენ! მურაბო, უცით, ეცით!..

შურები (ილაჯგაწყვეტით):—ამ! ჰამ! ჰამ!..

მსოფ. პრეტ-ტი:—აბა გარდლეთ და ესროლეთ, გიჩვენებთ თქვენს სერიოს!

საბ. კ. ვხირელი:—იყეფონ. წავენაღვლება, თქვენ თუ კარგათ გვეყოლეთ, ეგნი ვერაფერს გავგიბვდვენ.

ა. ყფე:—ში ხუთ წლელი წარმატებით სრულდება 4 წელში).
ალღარ—ალღარსან.



„ა მ ხ ა ნ ა გ ი კ ე რ ე ნ ს კ ი“

ეროვნული
გეგლიოთეკა

(1917 წ. უფრ. „ბიჩ“-ის № 20-შივას, კნიაზვის ფელეტონის მიხედვით)

„ამხანაგი კერენსკი“ დლით აღ-
რე იღვიძებს და მაშინვე თავის თავს
მხურვალე სიტყვით მიმართავს:

„აღსდგე, გმირთ-გმირო, ნუ გძი ნავს,
ბრძოლის ისმიან ხმანია“...

ხუთი წუთის შემდეგ. „ამხანაგი
კერენსკი“ ქუჩაში გაძოდის და ესმის
გაზეთის გაყიდველთა ძახილი:

„მსოფლიო ოპი საბჭოების წინააღ-
მდეგ“...

ხუთმეტი წუთის შემდეგ, ე. ი.
ცხრის ხუთმეტზე, უკვე ვერსალში
ხის „ამხანაგი კერენსკი“ და თავმჯ-
დლოძარეობს ანტი-საბჭოთა კოზფე-
ლენციას.

სრულ ათ საათზე ყველა სახელმ-
წიფოების შეერთებული სამხედრო
ძალები მოითხოვენ „ამხანაგ კერენ-
სკის“ დანიშნვას ძთავარ საოღლად.

ხუთი წუთის შემდეგ გაერთიანე-
ბული ჯაოების ძთავარ სარდალი
„ამხანაგი კერენსკი“ გადადის შეტე-
ვაზე და ორი წუთის შემდეგ იღვას
საბჭოთა კავშირის ორასადდე ქალაქს.

ნახევარი საათის შემდეგ „ამხანაგი
კერენსკი“ ტრიუმფით შედის ლენინა-
გრადში, სადაც მას ხალხი „გამა“-ს
ძახილით ხეიდება.

ერთი წუთის შემდეგ „ამხანაგ კე-
რენსკის“ ბრძანებით ქალაქს ერქმევა
ისეე „პეტროგრადი“.

კიდევ ერთი წუთის შემდეგ „ამხა-
ნაგი კერენსკი“ გამოდის „პეტრო-
გრადი“ მიტინგზე, მცხოვრებლების
სიხარულს საზღვარი არა აქვს. (ზოგ
გულჩვილ და კეთილშობილ მანდი-
ლოსნებს სიხარულსაგან ცრემლაც
ჩაჰოსდით).

ათის ნახევარზე „ამხანაგი კერენს-
კი“ უკვე ჩინეთის საზღვარზეა და ამ-
შვიდებს ჩან-კაი-მის აღლუგებულ
ჯარს, რომელსაც არ სურს საბჭოთა
კავშირის წინააღმდეგ ომი.

აღლუმზე გამოირკვა, რომ „ამხა-
ნაგმა კერენსკიმ“ არ იცის ჩინური
ენა.

ერთი წუთის შემდეგ მას მიუტანე-
ბენ ჩინური ენის „თვითმასწავლე-
ბელს“.

ხუთი წუთის შემდეგ „ამხანაგი კე-
რენსკი“ უკვე ჩინურ ენაზე ელაპარა-
კება ჩინელ ჯარისკაცებს.

ორი წუთის შემდეგ მთელი ჩინე-
თის არმია დაიძრება საბჭოთა კავში-
რის წინააღმდეგ.

ათ საათს თორმეტი წუთი უკლია,
რომ „ამხანაგი კერენსკი“ იღებს მოს-
კოვს და ატუსაღებს საბჭოთა მთავ-
რობას.

ათი წუთის შემდეგ „ამხანაგი კე-
რენსკი“ ხის კრემლში და აღბენს
„ღროებით მთავრობას“.

ოცი წუთის შემდეგ ქუჩებში გა-
კრულია „ამხანაგ კერენსკის“ ბრძანე-
ბა ყველა კომუნისტებისა და მათი
თანამგრძობების ჩამოხრჩობის შე-
სახებ.

ათი წუთის შემდეგ „პეტროგრა-
დი“ იხსნება დამფუძნებელი კრება,
რომელიც მაშინვე ირჩევს „ამხანაგ

კერენსკის“ სრულიად რუსეთის პრე-
ზიდენტად.

ორი წუთის შემდეგ მთელი რუსე-
თი ჰყვირის:

—„ბოლშევიკების მოსასპობად მე-
ფეე საჭირო... გაუმარჯოს ჩვენს მე-
ფეს „ამხანაგ კერენსკის“.

ოთხს საათზე „ამხანაგ კერენსკის“
ირჩევენ სრულიად რუსეთის მეფედ.

ხუთი წუთის შემდეგ „ამხანაგი კე-
რენსკი“ ანუ სრულიად რუსეთის მე-
ფეე სამხედრო სობოროდან, სადაც ის
კათალიკოსმა მეფედ აკურთხა, ხალხს
ხელის გულზე დასმული მიჰყავს სა-
სახლეში.

ნახევარი საათის შემდეგ—„ამხანა-
გი კერენსკი“ იწყებს მსოფლიო ომს
ყველა სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ათი წუთის შემდეგ ქვეყნად არსე-
ბული ყველა მეფენი ქედს იხრიან
„ამხანაგ კერენსკის“ წინაშე და ირჩე-
ვენ მას მსოფლიოს მეფედ.

თორმეტის ნახევარზე (ღამით) მარ-
სიდან მოდის ფოსტით სასწრაფო ღია
წერილი, რომელშიაც მარსიანელები
სთხოვენ „ამხანაგ კერენსკის“ მიი-
ღოს მოწყალეება და შეეერთოს მარსი
მისი იმპერატორობითი მფარველო-
ბის ქვეშ.

ხუთი წუთის შემდეგ „ამხანაგი
კერენსკი“ უკვე მარსზეა და თავზე
იდგამს მარსის სამეფო გვირგვინს.


ორი წუთის შემდეგ „ამხანაგი კე-
რენსკი“ იმავე დედა-მიწისა და მარ-
სის გაერთიანებული სახელმწიფოე-
ბის მეფე—იმპერატორი, მარსიდან
მოფრინავს მიწისაკენ. გზაზე მას
ხეიდება დელეგაცია მთავარედან და
სთხოვენ მათი სამშობლოს შეერთე-
ბასაც.

თორმეტი საათი თითქმის სრულ-
დება, რომ ქვეყნიერების მეფე-იმპე-
რატორი „ამხანაგი კერენსკი“ უცქე-
რის დამშვიდებულ და ბედნიერ თა-
ვის სამეფოს...

და —(უკვე სრული თორმეტი საა-
თია) „ამხანაგი კერენსკი“ წეება და-
საძინებლად, რომ ხვალ დილიდან
ისეე შეუდგეს ასეთ ფიქრებს.

ჯმუკი.





ს.ს.ბ.

საბარძიბო
ქალაქი
საქართველო

ოკორტუნისტები: მე შენი იმედი მქონდა და ასე მალე როგორ გაგაფუტა კოლექტივმა.
კულაკი:—გალმა მეღავები? მე კი შენი იმედი მქონდა! თუ კი ამის მეთს არაფერს წარმოადგენდი, რაღას მპირდებოდი და ბაქი-ბუქობდი?!

ქვეყანი იყო მეფე ბაქარი,
ენაზე თითქო ეცხო შაქარი.
მაგრამ რას არგებს მეფეს სიკეთე;
თუ ქვეშევრდომნი მეფის იქეთა
არ ინახვენ სიკეთეს გულში
და ავ თესლს ჰყრიან სამეფოს ხნულში?
სერიოზულად საფიქრალია!
და ცხადია, რომ მეფეს სცალია
მსგავსი ფიქრისა თუ ეჭვებისთვის.
მიღებულია კანონად მისთვის,
რომ სამსახური იტვირთოს მეფეს,
თუა პრობლემა კუქის და კვების;
მაგრამ ქვეყანა ჭურჭედ ფართოა
აქ ერთი კაცი სახიფათოა
ქვეყნის მილიონ მკვიდრთ მეთვალყურედ,
მეთვალყურესაც თუ ი. ლხში ურევთ,
რაკი კაცია ისიც ვით სხვები,
და სხვებრ მაზეც ხომ წვება იქვები?!
მეფემც ინება გაშლა ხელისა
და მეთვალყურეს ქვეყნის მთელისა
სხვა მიუჩინა მეთვალყურეთა,
თითქოს მით ძირი გამოუკეთა
თავის ბაღიაში დარგულს ჰურეულს,
ადრე სარეველ—ბალახ-ძირეულს..
მაგრამ... ეჰ, მაგრამ უღვევლია...
და მეფის ნდობაც უძღვევლია...
ამ მეორესაც ხომ ეჭირვება
მეთვალყურეზედ კვლავ მიპირება?
თორემ მტერი თქვენი იმ დღეში,
რასაც განიცდის შიშს მეფის ლეში!
დაღრღნა იქვებმა გული ობოლი!
მეფეს ხომ არ ჰყავს თვის ქვეყნად, ტოლი
იგი ერთია როგორც იაქე...
მართალი არის, მისკენ „მიაქვენ“:
საზრდო, სასმელი თუ სხვა რამ განძი.
მაგრამ აქვეა შიში და ბანძი,
და ხიფათებიც მოსალოდნელი...
რა იცი თუ ჯანჯს მოგდებს რომელი:
მოკვლა, მოწამლვა თუ გამოგუღვა?
საზღვარი წინ-წინ უნდა დაუღვა,

რომ აიცდინოს კისერზე ყულფი,
ტახტი და კვერთხი თუ კი გსურს უფლის!
და მეფემც აზრი რომ გაიღვსა,
მანც უთვალყუროს მეთვალყურესა
კვლავ მიუჩინა სხვა მეთვალყურე.
თუმცა მესამეს ორში ნუ ურევთ:
მათი მასშტაბი არის სხვადასხვა,
მხოლოთ აქ მეფის თვალი და რისხვა
მათ ერთნაირად შორს ეღირსება:
თუ მათში ვინ ვის შეეწირება?!“
აქ ხომ მუშაობს ეჭვი თუ ენა?
მანც, თუ კი ერთს სხვა მიუყენა,
ამას—მესამე, მეოთხეც—მასა,
მაშ, ეს მეოთხე ვინ შეაფასა,
რომ მას მეფეთემ არ უთვალყუროს?
შზად ჰყავს მეექვსეც, რომ ემსახუროს
მეფის ამ ზრავსა, როგორც წესია!..
და ხელდავ მეფეს რაც უთესია:
ამ მეთვალყურეს—კვლავ მეთვალყურე!..
ასე ხმელეთი თუ ზღვათა ყურე
შემოიჯაპკვა, როგორც ბორკილი,
ეჭვის, ენის და ღრენის ფორხილი,
ერთი მეორის ზურგს მტრად წახრილი,
ზურგში რომ მასაც ელის მანვილი!..
მხოლოთ ხომ დარჩა უკანასკნელი?!
მასაც არ ეწყო ჯიბეში ხელი
უქმად, უბრალოდ უანგარიშოთ,
მასაც ხომ უნდა ვისმე საშიშოთ
სჭეროდა ხელში ბასრი ბებუთი
ერთი ვისიმე სულის შემსუთი?
და მეც ჩემ თვალთ ვიხილე, როც
მან ჯიბით დანა ამოაცოცა,
როცა მას მეფის ზურგში არჭობდა,
რადგან ის, წესით, მას სდარაჯობდა,
ვინც მეთვალყურის მეთვალყურებით,
ძალ-სიერთგულის არ დაშურებით,
მთელი ქვეყანა ირგვლივ მოჰქსელა,
სანამ ბებუთმა თვით არ მოჰსერა
ხაზი მეფისა ირგვლივ, ვით რკალი,
და არ ჩაუქრო თვითვე მას თვალი!..
ჰაზირა.

ს ი ზ მ ა რ



ც ხ ა ღ ი

ქორიკანებს



ჩვენი დიდ მიღწევებით
მუნჯიც ამეტყველდება,
თქვენ კი თქმა სიმართლისა
ჭირივით გიმნელდებათ.

ვინც ჩვენს აღმშენებლობა-
სალათ მიაჩრდება, —
ხმაც, რომ არ უვარგოდეს,
მწამს, მანც ამღერდება.



თქვენ კი, მტრული განზრახვით,
განგებ ჰხუტავთ თვალებსა;
და ჭორების ჩურჩულით
ჰკვებავთ მავნე ძალებსა.

ფრთხილად, ნაძირალეზო,
დაიმუნჯეთ ენანი,
თორემ გვიან იქნება
ბოლოს თითზე კბენანი.

— საზარელი სიზმარი ვნახე: თითქოს ჩვენს სამხმს საზველი აღარ
ჰქონდა.

— დაეგდე და დაიძინე... მე სიზმარი კი არა, ცხადია, შე სულელო.

უჩინარი.



„პ რ ა ვ დ ა“

ჩენგან აგებულ
 დირიჟაბლს
 „პრავდა“ რომ ჰქვია სახელი
 შესჩერებინ
 ყოჩნები
 და გულს უღაგავთ ნადველი.
 გაკვეთა
 ცისა კამარა
 გუგუნმა „პრავდას“ ფრთებისა,
 მისი ხმა
 დამმარხველია
 ყოჩების „იმედებისა,
 შესჩერებინ
 დირიჟაბლს
 ემიგრაციის ყვაფებში,
 თვალს უწვავთ
 მშრომელთ მიღწევა
 და მხარე ანაყვავებში.

კოლტი





მამა:—მოწორდი, შეილა, ფანჯარას და ნუ უყურებ ქუჩაში მაგ მსეტებს! მგავთავან კარგ ვერაფერს ის წავლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლი:—მამაჩემო, ხომ ზედავ ხალხი როგორ ცმაყოფილა, სრულიად ახალი კვეყანა შეიქმნა... დროა—გონს მოხვიდე და შეიგნო!

ო ქ ტ ო ე ბ რ ი ს ღ ა ე ე ს

ოქტომბრის დღეს თორების რაინდს,
— ელდს, პილდესკის—ტხილი! საზარი
ცუვა: კავშირს საბჭოებისა
შეშოსოდა იმისი ჯარი.

— : —
კიევში იდა ბანაკი მისი,
გამარჯვების ხმას საყვირი სცემდა
და „ყოფილ წმინდა“ პიუსი,—პაპი
გალობდა—ღმერთო, დიდება შენდა!

— : —
შენი შექმნილი და მადლი შენი
ტენ მოვაცილო საფრთხე წითელი

და დავიხსენი ურწმუნოთავან.
ჩენი მრევლი და კვეყანა მთელი.

— : —
ქე ამა კვეყნის შემტვრა მსურდა,
სეთი მქონდა ხოში და ტენი
ურწმუნოდ იყოს რაიმე წმინდა
პაპი პილდესკი და მესოლინი

— : —
ამირიდან ეს ორი გმირი
ეთის ჩარიცხულ წმინდათაშორის.....
გალობდა პიუს და იბრეოდენ
მისი ზელები ვით ტოტი წწორის.

ეთორი ცხრეწე იჯდა პილდესკი, ვინა:
ოში დაიწყო „საბიუდესწორი“
და როგორც კინკას ოჩამურისას,
მას აბერისა უღვაშის დრო.

— : —
და აბრეხილი უღვაში იგი
მიდედ საბჭოებელ—მის აწრით—პილდ
ხარადა ველში რამ დაუწილობდა
იგი მუშების ყველგან სისხლს ღვრიდა.

— : —
— მიწაგანი ბენიტი ჩემთან
შე ვარ ფაშოზის ზედადი, მამა —

ფიქრბადა იგი:—მოსკოვის კრებლში
მალე შეგხვდება სადილის ჭამა.

— : —
— მოსკოვისკენ დავიბრით, ჩქარა!
შეგხვამებით საბჭოთა მხარე
(წარმომავალი თითქოს... და სარკმელით პას
დასტევიდა დავიწვიო მივარე):

— : —
— ახლ... ეს ვინ არის?!—წარმოსდა იხვე.
— მიუვალისი, მგარობს, ურწმუნო ხელი.
მას შეიფიქრებო ოქტომბრის ჩრდილი
თავს წავდევოდა სიკვდილის ცელით.



„გათოქვი გემი მოსულა“

6 ნოემბერი. მოსლამოვდა და რა-
გორც პოეტები იტყვიან, ინდუსტრი-
ალურმა ზაჰესმა ინდუსტრიულური
გული ათი ათასი გაღალღაღებულნი
ელექტრო - მაშუქით გაუნათა ამ
ჩვენს ინდუსტრიულურ ტფილისს.

სცემს ქალაქის ინდუსტრიულური
მაჯა და მეც, სახვალთ დემონსტრა-
ციის მოლოდინში ბოლოს ესცემ
ჩვენი საბინაო აშხ-ბის მიერ აგებულ
სამ-სართულთან სახლის მყუდრო აი-
ვანზე.

— სტუმარია, მამა! — შემოირბი-
ნა ჩემმა ვაჟმა.

— შემოიყვანე, სთხოვე!

— შემოვიდა პანამა - გახუნებული
კაცი.

— ველარ მიცანი კალისტრატე?

— თჰ! ჩემო ნიკიფორე, რაჟა ვერ
გიცანი, დაბრძანდი, როგორ გახუნე-
ბულხარ, კაცო?

— ამათ ხელში სული რომ მიღვას
არ გიკვირს? ბიჭო, შენ ხომ არ გა-
ბოლშევიკებულხარ?

— როგორ?

— რალა როგორ შე კაცო, იცი
ხვალ რა დღეა?

— ვიცი რომელია, მართლა მომი-
ლოცავს ცამეტი წლის...

— ნუ დამცინი თუ ძმა ხარ... არა,
დავიღუპეთ ხომ? ცამეტი წელია მა-
გათ ხელში ვართ, აწი გადაურჩებით?

— ვისზე ამბობ, კაცო?

— ჰმ! ვისზე და მაგ ამოსაღებ
ბოლშევიკებზე!... ხვალ მაგათი დღე-
სასწაულია... ამოაგდეს ქვეყანა და
ახლა ზეიმობენ...

— ამოაგდეს თუ ააშენეს?

— ააშენეს კი, თავისთვის, მაგრამ
ჩვენ, ამ უღანაშულო ხალხს რა გა-
გვიკეთეს? კი გახსოვს ალბათ, ხუ-
ცობას დროს რა მენშევიკი ვიყავი,
მერე მაგათი გულის მოსაგებათ ანა-
ფორა გავიხადე და ბულალტრობაც
შევისწავლე... გამოაგდეს, ყოფილი
ღვდელი, ყოფილი მენშევიკი და ახ-
ლანდელი კულაკი ხარო... რამდენია
ჩემისთანა? ქვეყანა დღლიათ და დი-
ჯკენათ იყო, ქვეყანა ჩინოვნიკებით
იყო საესე... ახლა? ახლა ჩვენ კონტრ
რევოლიუციონერები ვართ და გამა-
რჯევებულ პროლეტარიატს სადღა
მოვავონდებით?

— რატომ კაცო, იშრომე, ვინ გი-
შლის?

— დაშლით არა, მაგრამ რა გუ-
ლით უნდა ვიმუშაო?..
ჩაფიქრდა.

— ახალი ამბები ვაიგე?

— არაფერი ვიცი.


— თურმე ამ ბოლშევიკების დღე-
ები დათვლილია. ჩემი რძლის ბიჭო-

ლა ჩამოვიდა ჯულფიდან და იქ ვი-
ლაცას უთქვამს, რომ ამ ცოტა ხანში
წავლენ თურმე...

გამეცინა.

რა გაცინებს ბოშო, ნახე ასე თუ
არ იქნება... ეს ინდუსტრიალიზაცია
ტყუილი ყოფილა, თურმე ვაბტყუე-
ბენ... ამას წინად ბიძა ჩემს წაყვრა
ყური რიგში, ბათომში გემები მოსუ-
ლა საფურცელიდან...

— გემები? ნავთისათვის იქნებო-
დენ.



ომს უნდა ბევრი ფული,
მართლმით, როგორც ღმირი.
ბურჟუა შტამ ჰყვირის:
„გამარჯვებამდე ომი“.

გეგიაჩემი

ეს იყო წინად, დაცვა ძველი,
მიწას მოედო მძლე ოქტომბერი;
აღსდგა, აზვირთდა ხალხი მშრომელი,
მოკვდა მონობა, დამარცხდა მტერი.

მაგრამ დარჩენილ ნაძირალებსა;
ვაჭრებს, კულაკებს და სხვას ასეთებს,
(რომელთაც წითელ დროშის ფრიალი,
და კოლექტივი ახლაც აფეთებს).—

არ ჰქონდათ კარგი განწყობილება
და ოცნებობდენ იხვე ძველ დროზე
ბებია ჩემსაც მწუხარებაში
თანაურაჩნობდა მღვდელი მარკოზე.

გამოდიოდა ბებია ხალხში
და მწეოდა აგიტაციას:

— ბატონო, ნათლად დავეღებებია
თუ ქვეყნის საქმე მართლაც ასმა!

თუ ასე დარჩა, ქვეყანას მალე
წაღვავებს ჭარი და ნაღვარი!—
ეომებოდა ის კომკავშირლებს,
თუ რად მოხტებენ საყდარზე გვარი.

აღარ ასრულდა ბებიას წვევლა
(მოკვდა საწყალი, ამათის გავრით).
ხოფლად ყოფილგან კოლექტივია,
სახლს არ შხურავენ ახლით და ყავრით;

აგებს ქვობან დიდი ბედელი,
წითელი მზურავს თავზე კრამიტი,
თუმცადა ზოგნი გულზე სჯდებიან,
მაგრამ ხოფელი შხარობს ანთი.

— არა კაცო! ნავთი კი არა თუ...
მე გემზე ზარბაზანიც დაუნახავთ...
ბათომის ალებას ფიქრობენ თურმე,
იქნება ახლა ალებულიც კია...

— ხა, ხა, ხა! როგორ გაჭორიკანე-
ბულხარ ნიკიფორე!

— იცინე, იცინე! ამას წინად თუ-
რმე ბაქოსკენ ჰაერობლანი გადაფრე-
ნილა ინგლისიდან და ბაქოს გეგმა
აჟულია ხვევიდან. ალბათ ომისათვის
ემზადებიან. იქნება ახლა ბაქო ალე-
ბულიცაა!..

— კარგი ერთი თუ ღმერთი გწამს!

— ასეა რომ გეუბნები. ის კი არა.

ლენინგრადშიც ჩამოსულან უცხო-
ელები და ქალაქს ათვალიერებდენ
თურმე, ალბათ ალერა უნდათ... მე
მგონი, ლენინგრადი და მოსკოვი ახ-
ლა ალებულიც იქნება და ხვალ-ხვე
კარზე მოგვადგებიენ ინგლისელები...
ვაი როდის. მაშინ მიყურე რა ბიჭი
შევიქნე...

სული მოითქვა:

— ინგლისელები მოვლენ, ფრან-
გები მოვლენ, ამერიკელები მოვლენ.
ეს კომუნისტები ისე გაიბარებიან,
რომ თვალს ვერ მოკრავ... ჰეი გიდი
ბიჭო! ვნახოთ მაშინ რას იზამს ის
მუშათა ენტუზიაზმი, ეს ხუთწლედი
ოთხ წელში... ჩვენი იქნება ქვეყანა...

სიცილი მინც ვერ შევიყვანე ამ
ნახევრად ადამიანის ლასლასზე. იგი
უცებ შეკრთა:

— ბიჭო, შენ ბოლშევიკი ხომ არ
ხარ?

— ვითომ არ იცი! ორი წელია მი-
მიღეს!

— ვაი დავიღუბე კაცი... შენ ახლა
ჩეკაში გაიქცევი და ჩემს თავს დაა-
ჭერინებ! შემობრალე, მიშველე თუ
გრწამს მაცნოვარი...

— თავი დაანებე ფიცს თუ კაცი
ხარ, შენთვის ხალ სცალია გებეუს.
რა შეგიძლია შენ ჭორიობის მეტი!

— მართალია, ჭორიობის მეტი რა
შემიძლია... მე ისე, ჭორიკანა ვარ,
თორემ საქმის გაკეთება აღარ შემიძ-
ლია... შენი ჭირიმე, ნახვამდის და არ
გამცე... ვიხუმრე... მე თითონ ბოლ-
იკების მომხრე ვარ და პლატფორ-
მაზე ვდგევარ...

სასწრაფოდ გამომეთხოვა. გახუ-
ნებული ქული საცოდავით გამოიყუ-
რებოდა გამოკრეტილებულ თავზე.

— „ჰაერობლანი ბაქოზე გადა-
ფრენილა... ბათომში ზარბაზნებიანი
გემი მოსულა... ლენინგრადში ვილაც
უცხოელი ჩამოსულა“... ასეთი აზრე-
ბი ტრიალებდა იმ გახუნებულ ქულ-
ში, რომელიც ვინ იცის, თავის მაგი-
ვრობასაც ასრულებს...


იანო.

ბარსიბი.



ქართული
კომუნისტური
პარტია

უსიკცხვილს სიკცხვილი



ქართული
კომუნისტური
პარტია

ს.ს.-დამ:—მრცხვენია, რომ მეფის მინისტრი ამათ მიერ ვარ არჩეული!



საოქტომბრო

(ხალხურ კილოზე)

ერთი წელიც გადავორეთ
 მზიარული სიცილითო;
 ბევრს მრუდს გვერდი გაუსწორეთ,
 რომ სტიქოდა მას ძილითო.
 ვინც ოთხ წელში ხუთ წლის გეგმას
 ვერ ასრულებს კარგადაო,
 წელში კუკუს ამოვსახობთ და...
 არ გვსურს გეყავდეს ბარგადაო.
 კოლექტივის მშენებლობას
 ვინც მისდევდა კულადაო,

არ ვაძლევდით იმას ნებას,
 ემუშავნა ცუდათაო.
 ინდუსტრიას ვინც, რომ გმობდა,
 აუწიეთ ყურებიო,
 ზურგზე მტვერი ავადინეთ,
 გეყავდა შენახურებიო.
 ცამეტი წლის გრძელ მანძილზე
 ყველგან ასე ვიარეთო,
 ვინც არ გვემტრობდა, იმათ ყველას
 ლხენა გაუზიარეთო.

ტარზან.

სალამი ოქტომბრისთვის

(გურული სცენა)

ეს ერთი ცამეტი და სხვა კილო
 ათასი ამისთანა ცამეტის შესრულე-
 ბას ვუსურვებ ჩვენს მთავრობას,
 რომელიც შვილივით გვივლის.

დენეაცვლოს სხვა პარტიები, რო-
 მლებიც სოროებში არიან შემეძრა-
 ლნი და იქიდან გვიღრენენ კბილ ჩა-
 ცვენილ ტურებივით.

რაც მართალია მართალია და კაი
 მთავრობის ხელში ვიმყოფებით. რა-
 საც იტყვიან, ყველაფერს ასრულე-
 ბენ.

ქე იყო წინედ მენშევიკების მთავ-
 რობა, მარა რაი მერე? იმ საცოდა-
 ვებს სულ „მეითმინეთ მეითმინე-
 თი“-ს ძახილში ამოძვრათ სული. ავა
 რავა ეგონათ! მარტვა შეპირების მე-
 ტი რომ არ ყოფილიყო საჭირო, მა-
 შინ, რა უჭირდათ წვერ ცამეტა ხუ-
 ცებს, რომლებიც ზულ იმას გვიქა-
 დავებდენ — ვინც ამ ქვეყნად მეტს
 მოითმენს და მეტს გაჭირვებას გადაი
 ტანს, იგი პირდაპირ სამოთხეში
 შვლიჭავს თავსო. დღეს კი ეკლესია-
 ში შესვლას, მღულარეში თავის ჩა-
 ყოფა გვირჩევნია.

ახლა ყველაფერს რო თავი დავა-
 ნებო, ვინ წარმოიდგენდა თუ ჩვენ
 ყრუ სოფელს სამკითხველოს, დოხ-
 ტურის პუნქტს და კლუბს გოუკეთე-
 ბდენ. მარა ჩვენ მთავრობის ხელში
 თურამ რას არ მოესწრები კაცი? გზა
 გაგვიკეთეს იმისანა, რომ კაი ანტო-
 ნობილიც ქე იკადრებს ზედ გავლას.

ისე მე და ჩემ ელპიტესაც წერა-
 კითხვაც ქე შეგვასტავლეს. გაზეთს
 ისე ჩავაბუღებულეთ, რავარც კაი
 მოწაფე უროკს.

ახლა ყველაფერი კაი, მარა ამ
 ტრახტორმა გამაკვირვა სწორეთ.
 ჩემი წულგაგდებული ხარები რო
 ერთ თვეს მოხნავენ, ეგენი იმდენს
 ერთ დღეს რავა მოუნდებიან?

ჰო-და ამის შემდეგ მოდი და ნუ
 დაიკავენ კაი ბზის ჯოხს და ნუ
 უთაქებ ბეჭებში იმათ ვინც გვიძახის:
 კომუნისტები კი არ აშენებენ ქვეყა-
 ნას, არამედ ანგრევენო. თქვე წყალ-
 წაღებულებო, თუ აშენებას დანგრე-
 ვას ეძახით, მაშინ დანგრევას რაღას
 დოუძახებთ?

ამიტომ გირჩევთ ჩამოიღოთ ბრუ-
 ციან თვალებიდან ეგ ელამი სათვა-
 ლეები და უფრო გაარჩევთ შაქს
 თეთრისგან. თუ არ დამიჯერებთ,
 ანასტინი თქვენ საქმეს, ხოლო სალა-
 მი და გამარჯვება ჩვენს მთავრობას.

ვირილე საფირჩხიელი.

მოთმინების საზღვარზე




ინგლისელი (ჰანდს): შეულოცე სპილოს იქნებ გაჩერდეს, თორემ ჩამომაგდებს.



საქართველო




როცა სახელმწიფო გასაჭირშია, სირცხვილია ჯიბეში ხელები გეწყოსი და, ყველამ გადაარჩინოს რაც შეუძლია!



ისინი, ვინც მშვიდობიანობაზე ლაპარაკობენ.



ისინი, ვინც მშვიდობიანობაზე სდუმან.



— ძვირფასო აჩრდილო, დამიფარე თავისუფლების მშის სხივებზე, თორემ ვერ უძლებს ჩემი სხეული მათ სიმშურვადეს.

შერილი შემობრანტს

სალამი ლევან!

მეილე შენი წერილი. იწერები, რომ—დიდსა და აუტანელ გაჭირვებაში ვარ და მინდა სამშობლოში დავბრუნდეთ.

ლევან, არ გადირიო კაცი, და მართლა არ წამოხვიდე. აქა ვარ, ძმაო, მარა რაღა ამისთანა ყოფნა. თავადი კაცი იძულებული ვარ თოხი დავიკაგო ხელში და ყანა ვთოხნო. როგორ შემიძლია ეს მე! მაგრამ ვინ გიყურებს და გიჯერებს შეგიძლია თუ არა.

ამას ვინ ჩივს, მიწები ჩამოგვართვეს, სულ ცოტა დაგვიტოვეს, (ამის შესახებ ქე გწერიდი, არ ვიცი—მიიღე თუ არა ის წერილი).

ვპ, ჩემო ლევან. სადღაა ის დალოცვილი ჩვენი ძველი დრო, როცა ამ ჩვენს ქალაქში პირველი კაცები ვიყავით.

გახსოვს ვარდის ჩიხში რომ ორსართულიანი სახლი ჰქონდა „სოფია ჩერტოვას“? (ასე ვეძახდით ბიჭები), შიგნით ეხლა ჭრა-კერვის სასწავლებელია და სოფლის გოგონებს ხელობას ასწავლიან, ხომ გახსოვს—რა დროებას ვატარებდით შიგ, რა მშვენიერი ქალები ჰყავდა მართლაც იმ „ჩორტ“ სოფიას. გიყვარდეს მთელი ღამის განმავლობაში ქეიფი და ნაირნაირი ქალები.

შენ ალბად ისიც გეხსოვრება, ხიდან რომ ყლაპაძეს რესტორანი ჰქონდა—„შეგერება“—(ჩნტბს რომ ემართავდი ქეიფის შემდეგ, აი ის რესტორანი); იქ ეხლა გლეხთა სახლია და გლეხთა წითელი სასადილო.

ბზობას რომ მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გოგონებს ბზის ტოტებით ვეარშიებოდით და მალულად კიდევ ვკოცნიდით, იქ ეხლა უბნის კლუბია გახსნილი და შიგ სამკითხველო.

გახსოვს, სოფელში რომ დიდ მუხასთან აღმართია, იქ რომ ტალახი იდგა ყოველთვის, გლეხები შიგ რომ ჩუჩხნებლებით ისვრებოდნენ და ჩვენ ვიცინოდით,—იქ ეხლა ქვაფენილია და აღმართი გასწორებულია.

ალბათ შენ ისიც გემახსოვრება, რომ მთვრალეები და-

მით გლეხების ჭიშკრებს ვიღებდით და წყალში ვცრიდით. (ო, რამდენი სიამოვნება იყო!) ეხლა, ჩემო ძმაო, ჭიშკარი კი არა, სარი რომ ამოუღო ღობიდან, მეორე დღეს აღმასკომში დაგიბარებენ.

სადღაა ის იდილია, რომელიც წინ სოფელში იყო.

ხომ გახსოვს—როცა დაგვაბატევენდენ, ქეიფის შემდეგ კვარის ჩირაღდნებით გვაცილებდენ. ეხლა ელექტრონია სოფლად და კვარი ვის-ღა ახსოვს.

წინეთ სალამს შორიდან გვაძლევდენ გლეხები და თავს მიწამდე ხრიდენ. ეხლა ჩვენს სალამზე პასუხის გაცემაც ეზარებათ.

კურდღელზე სანადიროდ რომ დავდიოდით, ის ადგილები და ტყეები ეხლა კოლექტივის ჩაის პლანტაციებს უჭირავს. ჩვენ რომ დასასვენებელი გვიმბრის კარავი გვქონდა წყაროსთან ტყეში, იქ ეხლა ვეებერთელა ორსართულიანი შენობა მოკრეფილი ჩაის თავმოსაყარად. ჩვენ რომ „მგლის ბილიკს“ ვეძახოდით, ის ბილიკი ისე გააფართოვეს და გააკეთეს, რომ ეხლა ზედ ავტომობილი დასრიალებს.

გული მიკვდება, როცა ამას ვხედავ, მაგრამ რას გავხდები ამ ბარბაროსებთან.

ქალაქში პატიოსანი კაცი ერთ თავის შესაქცევ და დროს გასატარებელ სახლს ვერ ნახავ. იქა-იქ იყო თითო ოროლა „პრიტონი“, მაგრამ ამ ერთი წლის წინედ ყველა აღმოაჩინეს და მიჰკეტეს. არ ვიცი რას ფიქრობს ეს მთავრობა, რომ სკოლებისა და ინსტიტუტების გახსნის გარდა, აღარაფერი ახსოვს საზოგადოებრივ გასართობის შესახებ, როგორც არის: კაზინო, სათამაშო კლუბი, კაბარე და სხვა.

სარდაფში რომ კაფე-შანტანი იყო, იქ ეხლა ტირია.

აი, ასეთი მდგომარეობაა ჩვენში. მეონია, ამიერიდან მაინც აღარ იფიქრებ წამოსვლაზე.

ნეტავი მეც მანდ ვიყო!

შენი პარმენ.

წერილის ხელში ჩამდებები: **ჩინ-ტინ-ტინ.**



ძვირფასო და საყვარელო მანია! მას შემდეგ დიდი ხანია, რაც საფრანგეთის დედა ქალაქში პარიზში ვარ. ცამეტი წელი ყველაზე დიდი მოვლენა არის ჩემს ცხოვრებაში. რას იზამ, ჩემო კარგო, ბოლშევიკებს კისერს მოუგრებდით, მარა საქმე ის არის, რომ მუშები არ მოგვეყვებიან.

სახლის პატრონი მეუბნება: — რა ამბავია, მისტერ კირილე! ნუთუ აღარ მიდიხართ სახლში! აკი თქვენ ისე ამბობდით — მალე დაბრუნდებითო!

ყველაფერი მეგონა, მაგრამ თუ ჩემი „ხაზინი“ მისტერ უორუ აღარ დამაყენებდა ოთახში, ეს კი აღარ მეგონა.

დღეს დილით შემოვიდა ჩემთან ოთახში და მითხრა:

— მეტი აღარ შემიძლია. დღესვე მიბრძანდით ჩემს სახლიდან, ათი წელია გაიძახი: „აი, ესაა დაემხოებიან ბოლშევიკები და წავალ“... კმარა ამდენი ტყუილი.

და მართლაც გამავლო იმ უსინდისომ სახლიდან.

— შენიღობა მამო ნიკო.
— ღმერთმა შეგინდოს, ღვთის ერთგული მსახური შეილო თადეოზ.

— ბატონო ნიკო, წელს შემოდგოზე ზიარება რატომ არ გვარგუნე? მთელი სოფელი წაწყდა პირდაპირ; ერთი წელი გადის და სოფელი არ ზიარებულა.

— ეჰ შეილო თადეოზ, შენ ყოველთვის გულმაგარი და ერთგული მსახური იყავი ღვთის, (დიდება მის სახელს), მაგრამ ესლა კი წერას მოუწყეია შენთან; სანამ ადრეა და აზრის გაუგონია შენი სამართლიანი მოთხოვნა, გაიპარე აქედან.

— ბატონო ნიკო, მომიტევეთ თუ ვცდები, მაგრამ თქვენ რაღაც არა ჩვეულებრივად მეღაპარაკებით დღეს, ალბათ მეორეთ მოსვლა მოახლოვდა და ქვეყანა წარღვნის წინაშე სდგას. ღმერთო, იხსენი ქვეყანა წარღვნისაგან, რათ მოიძულე ასე მალე ხალხი? რას ერჩი ყველას? თუ მაინც და მაინც, გამოარჩიე კომკავშირლები და ისინი დახოცე, ჩვენ კი გადაგვარჩინე.

— შეილო თადეოზ, წუხელი „ობისკი“ მიჭნეს და რაც ვერცხლის ფულები და დინამიტები მჭონდა, წაიღეს.

— ბატონო მამო, მეორეთ მოსვლა ყოფილა. რაეა, შენ სახლში გაბედეს შემოსვლა?

— გაბედეს რომელია, ი ჩენი კონსო-მოლები შემოყვენ მილიციას და პირდაპირ იმ ყუთს მიადგენ, სადაც დინამიტები მჭონდა შენსულა.

— მამო, გვარზე მამთხვიე და მაგ კომსოლოგების დაწყველის ნება მომეცი. სომხეთის წმინდა ნიკოლოზის ხატო, შენ გასწვდით ჩენი სოფლის კომკავშირლები, რომელთა უმრავლესობა მოუწათლავიც არის.

— მამა და შეილო, კომუნისტებიც მიაყოლე, ისინია მთავარი. მაგნი ისე შეყავა ამ ორი წლის წინ გამომწყვედული ბრწყინებლობი, რომ ქალსაც ვერ თხოულობდენ გვარ-დაუწყურავად, ახლა კი ღმერთიც აღარ სწამთ.

— მამო ესლავ შეუდგეთ ლოცვას თორემ ქვეყანა დაიღუბება.


— თუ დაიღუბება კარგია, კოლექტივის წევრები მოჰყვებიან შიგ და ქვეყანა განთავისუფლდება.

— მამო ნიკო, მე ერთი ხარი და ორი ცხვარი მყავს გამზადებული. უნდა შეეწირო ცხრა-გვარის მონასტრის და ჩაუთქვა, რომ მეორეთ მოსვლის დროს გასწყვიტოს კომკავშირლები და კოლექტივში გაერთიანებული გლახები.

— შეილო თადეოზ, კომუნისტებიც მიაყოლე ხოლმე.

ამ ლაპარაკით ნიკო და თადეოზ ერთმანეთს გამოემშვიდობენ.


— რა სულელია ეგ საწყალი! ნეტავი კიდევ აქვს რისიმე იმედი! — სოქვეს თავისთვის ნიკომ და თედეოზმა ერთმანეთზე ლალია.



ნანკინის მთავრობამ გადასწყვიტა თეთრგვარდიელების ჩაბმა ჩინეთის კულტურულ მშენებლობაში.

(„რევიზორიდან“)

თეოტრი გენსარალი:— ჩვენ სხარულით ჩავებით კულტურულ მშენებლობაში, თქვენო აღმატებულებავ! გვიბრძანეთ, ვინ „ვაზიაროთ“ ჩიოი ჩვენს „კულტურას“?



გერმანია — რაც არ უნდა ამოვლობოთ ეს საზღვარი კომუნისმის აჩრდილს მაინც ვერ დავმაღლავთ.

გოღოღი

ს.ს.ს.წ.ს (სამტროედია). შინაარსის სერიოზულობის გამო ვერ ვბეჭდავთ თქვენს ლექსს, მხოლოდ მოგვყავს მისგან ერთი ადგილი:

რაც მჭიროდა, ისა ვქენი,
 თავადს ავხადე ღირსება.
 მიფუყენე გლეხებს გვერდით
 (რავა არ გაგვიცინება).

მართლაც გაგვეცინა და... მაგრამ საქმე იმაშია, რომ კოლექტივში გლეხისათვის თავადის გვერდში „ამოყენება“ საზიანო საქმეა კოლექტივისათვის.

მუშტაქმის (მოხიხი). ეს ძლიერ სასიამოვნოა, რომ თქვენ შეგნებულნი ყოფილხართ და გესმით დღევანდელი წესწყობილების უპირატესობა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ საბჭოთა მთავრობა ღმერთზე მწყურალია და, მაშასადამე, ამ უკანასკნელის (ღმერთის) „მადლი“ მას ვერაფერში გამოადგება. ხელისუფლებაზე აზობთ, რომ:

მოგვაშორა მეფე, ღმერთი,
 ყველას მოგვცა ღვინი, შვება.
 ჩვენს მთავრობას **ღმერთმა** მისცეს
 დღეგრძელობა, გამარჯვება.

კარგად დაუკვირდით ამ თქვენს ნაწერს. აქ წინააღმდეგობას აქვს ადგილი.

რამშემს (ოზურგეთი) რა მზეც არ უნდა იყოთ, ლექსის დაბეჭდვას მაინც ვერ შეგვატყუებთ.

გვწერთ, რომ „ოქტომბრის ხათრისათვის დამიბეჭდეთ მაინც“. თქვენ გგონიათ, რომ „ოქტომბრის“ გამო შეიძლება ცუდი ლექსის დაწერა და დაბეჭდვა? პირიქით!

ბარამონს (აქვე). გვწერთ, რომ „ოქტომბრის დროს ბატარა ვიყავი და ესლა მაინც მიმადლებინეთ ოქტომბერში მონაწილეობა—დამიბეჭდეთ ეს წერილები“. ო, თუ თქვენ მართლაც გინდათ „ოქტომბერში“ მონაწილეობის

მიღება, ლიკვიდაცია უყავით მართლწერის უვიცობას და განთავისუფლდით მისტიციზმსაგან.

სინუსს (ქუთაისი). თქვენი ლექსი ასე იწყება:
 დღისით წიგნებს ვკითხულობდი,
 დამით ტკბილად ჩამეძინა.
 მაგრამ ვნახე მე სიზმარი,
 და მივეცი აქ მას ბინა.

მართლაც დაწყველოს ყოფილმა ღმერთმა ეს რაღაც სიზმარია. თქვენ რომ ის არ გენახათ ძილში, ჩვენაც მოგვასვენებდით და თქვენაც ტკბილათ გეძინებოდათ.

დანიტარმისებულს (ფოთი). გაინტერესებთ შეგატყობინოთ, თუ სად მიდის უვარგისი და დაუბეჭდავი მასალა. ამას რა დიდი მიხედობა უნდა—გოდორში მიდის.

მეფე და მეთვალყურე **ზგო აენმისუფოზგაე**
ოლიმპიელს (ოზურგეთი) შეუდარებელია ეს ერთი ადგილი თქვენს პოემაში:

ვისაც რა უნდა ისა სთქვას,
 სულ სხვაა ჩემი ტრფიალი
 მიყვარს ლექსების დაწერა,
 და ხელში კალმის ტრიალი.

„ვისაც რა უნდა, ისა სთქვას“, მაგამ თქვენ ვერ ახერხებთ რის თქმაც გინდათ. „ხელში კალმის ტრიალს“ სჯობია, კალამი ხელში მაგრად დაიჭიროთ და სტრიქონები გარკვევით დასწეროთ.

კალმოსნებს (საჩხერე). სად არის რაიონის განათლების განყოფილება თუ თამარ, დუგლაძემ:

სახაზინო ფულებით
 პირი ჩაიტკბარუნა.
 ამას დაამოწმებენ
 შოშია და არუნა.

რა ვუყოთ მერე, რომ „პირის ჩაიტკბარუნების“ შემდეგ რევოზია ცუდი დასაყოლებელი (დესერტი) იქნება!?

ეროვნული
გზლირთება



?!?

— ერთი ამათ უხედავთ: აღმშენებლობაშიც ისეთივე უნაბს იკა-
ნანს, როგორც სამოქალაქო ომში ჰქონდათ... მოდი და ნუ გაზრავდებ-
ი